ეროვნული სამოქმედო გეგმის გზაზე ირლანდიის რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში

საზოგადოებრივი განხილვა, 2021 წელი

შესავალი

რასიზმის წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტი და წინასწარი ანგარიში
ეროვნული ანტირასისტული კომიტეტი (National Anti-Racism Committee)დამოუკიდებელი კომიტეტია, რომელიც ირლანდიის რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესადგენად მთავრობამ 2000 წელს დააარსა. ჩვენი წევრობისა და სრული უფლებამოსილების ნახვა შეგიძლიათ აქ.

უფლებამოსილების შესაბამისად, ჩვენი **წინასწარი ანგარიში** წაგუდგინეთ ბავშვთა, თანასწორობის, ქმედუუნარობის, ინტეგრაციისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს (Minister for Children, Equality, Disability, Integration and Youth) 2020 წლის ნოემბერში. ანგარიშში მოცემულია ჩვენი თავდაპირველი ჩანაფიქრი და გეგმები რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად. წინასწარ გეგმაზე წვდომა შესაძლებელიათ აქ.

დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან კონსულტაციები ჩვენი მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ეს კონსულტაცია საშუალებას აძლევს ყველას, გამოთქვას თავისი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ შეგვიძლია ეფექტურად გავუმკლავდეთ რასიზმს, მისი ყველა ფორმით, დღეს ირლანდიაში.

ჩვენ მოვამზადეთ ეს საკონსულტაციო დოკუმენტი, იმის ასახსნელად, თუ რაზეა საუბარი და გამოგვეყო რამდენიმე მიმართულება, რომელთა შესახებ განსაკუთრებით მივესალმებით მოსაზრებებს და წინადადებებს.

თქვენი შეხედულებები მნიშვნელოვნად დაგვეხმარება ეფექტური გზების განვითარებაში ირლანდიაში რასიზმის დაძლევის საქმეში.

რა არის რასიზმი?
წინასწარ ანგარიშში გამოვყავით რასიზმის შემდეგი გაგება ჩვენი საქმიანობის განსაზღვრუსთვის:

> [რასიზმი არის] ... ძალაუფლების დინამიკა, არსებული იმ სტრუქტურულ და ინსტიტუციონალურ ზომებში, პრაქტიკაში, პოლიტიკასა და კულტურულ ნორმებში, რომელსაც პიროვნებების ან ჯგუფების

> წინააღმდეგ გამომრიცხავი ან დისკრიმინაციური შედეგი აქვს, მათი იდენტურობის საფუძველზე, როგორც ეს მითითებულია რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის საერთაშორისო კონვენციის პირველ მუხლში, რომელიც ითვალისწინებს:
> '...ტერმინი ,,რასობრივი დისკრიმინაცია" უნდა ნიშნავდეს ნებისმიერ განსხვავებას, გამორიცხვას, შეზღუდვას ან შეღავათს, დაფუძნებულს რასაზე, ფერზე, წარმოშობაზე ან ეროვნულ ან ეთნიკურ წარმომავლობაზე, რომლის მიზანი ან შედეგია ადამიანის უფლებების გაუქმების ან აღიარების, გამოყენების ან განხორციელების დასუსტება და ფუნდამენტური თავისუფლება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ ან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროში.'[1]

ჩვენ ვაღიარებთ ინტერსექციონალობას რასიზმსა და ჩაგვრის სხვა ფორმებს შორის დაფუძლებული გენდერულ, სექსუალურ, გენდერულ იდენტურობას, ქმედუუნარობასა და სოციალურ-ეკონომიკურ გარემოებებზე - და რომ ქალები, ბავშვები და კაცები რასიზმის სიმძიმეს განსხვავებულად განიცდიან.

ჩვენს მიერ მიღებული გაგება თანამედროვეა და ეფუძნება საერთაშორისო სამართლებრივ კონცეფციებსა და ვალდებულებებს, აგრეთვე ევროკავშირისა და ირლანდიის კანონმდებლობას.

რასიზმი სისტემური პრობლემაა, რომელიც საზოგადოების მრავალ სფეროში მჟღავნდება და ადამიანთა ცხოვრების მრავალ ასპექტზე ახდენს გავლენას. რასიზმი ჩნდება სტრუქტურებში; აისახება და წარმოიშვება დაწესებულებებში, პრაქტიკაში, პოლიტიკასა და კულტურულ ნორმებში; და მათი საშუალებით აქვს გამორიცხვის ან დისკრიმინაციის შედეგი ინდივიდების ან ჯგუფების საწინააღმდეგოდ, დაფუძნებული მათ რასაზე ან ეთნიკურობაზე (ეროვნებისა და მოგზაურთა საზოგადოების წევრობის ჩათვლით)

რასიზმი რეალობაა ირლანდიაში. ჩვენ გვჭირდება ყოვლისმომცველი და ეფექტური ეროვნული სამოქმედო გეგმა მასთან გასამკლავებლად.

რასიზმი რეალობაა ირლანდიაში. მუდმივი და კარგად დოკუმენტირებული მტკიცებულებები აჩვენებს, რომ იგი საზოგადოების ყველა დონეზეა გამჟღავნებული და სხვადასხვა ჯგუფებმა თავის თავზე გამოსცადეს. COVID– მა უფრო გამოკვეთა რასიზმი - განსხვავებული შედეგებით მიგრანტებისა და სხვა ჯგუფებისთვის, რომლებიც რასობრივი დისკრიმინაციის სამიზნეები არიან.

ბოლო წლებში მტკიცებულებების მიღებით, რომ რასიზმი ნამდვილად არსებობს, ჩვენ ვაღიარებთ, რომ ახლა უნდა გადავდგათ ნაბიჯები და ვიმოქმედოთ. მას შემდეგ, რაც 2008 წელს დასრულდა რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული

[1] **რასიზმის წინააღმდეგ მებრძოლ კომიტეტის წინასწარი ანგარიში, 2020, 3.**

სამოქმედო გეგმა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები განახლებული ეროვნული ცენტრის ძიებაშია, რეკომენდაცია, რომელიც ასევე გამეორდა ირლანდიის ბოლო მიმოხილვაში გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ (CERD) 2019 წელს. ირლანდიის ადამიანის უფლებათა და თანასწორობის კომისიამ (Irish Human Rights and Equality Commission) ასევე მოუწოდა ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებისკენ.
ამჟამად ირლანდიაში რასობრივი დისკრიმინაცია კანონითაა აკრძალული და რასისტულ სიძულვილზე საუბარიც ასევე უკანონოა. ირლანდიის ყველა საზოგადოებრივი ორგანო ვალდებულია აქტიური ნაბიჯები გადადგას დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად (მათ შორის რასობრივი ნიშნით) თავიანთი საქმიანობის ფარგლებში. ეთნიკური უმცირესობების თანასწორუფლებიანობისა და ჩართულობის წახალისება წარმოადგენს დასახელებულ მიზანს მთავრობისა და საზოგადოებრივი პოლიტიკის მრავალი სტრატეგიის ფარგლებში. რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები შესულია მიგრანტთა ინტეგრაციის სტრატეგიაში და მოგზაურთა და ბოშათა ინტერგაციის ეროვნულ სტრატეგიაში. ამჟამად რამდენიმე დამუშავების პროცესში მყოფი რეფორმა მნიშვნელოვანი იქნება რასიზმის წინააღმდეგ ხალხის სამართლებრივი დაცვის გასაძლიერებლად. მასში შედის შემოთავაზებული კანონმდებლობა სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულის შესახებ და ონლაინ მედიის დარეგულირება. მსგავსი რეფორმები იმის ძლიერი სიგნალს წარმოადგენს, რომ ირლანდიის საზოგადოება არ შეეგუება უმცირესობების რასიზმის რაიმე ფორმას.

თუმცა, სამართლებრივი აკრძალვების მიუხედავად, რასიზმი და რასობრივი დისკრიმინაცია ირლანდიაში მაინც არსებობს. არსებული დებულებები და პოლიტიკური ინიციატივები საკმარისი არაა და მნიშვნელოვანი პრობლემები მაინც რჩება. ეროვნული სამოქმედო გეგმა საშუალებას მოგვცემს არსებული ღინისძიებები და კანონები ჩავრთოთ კონკრეტული ქმედებების უფრო ფართო ჩარჩოში, მათი ეფექტურობის გასაუმჯობესებლად. ის ასევე დანერგავს ახალ ქმედებებსა და ინიციატივებს არსებული და წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად. ამ ახალი ქმედებებისა და ინიციატივების შემუშავებისას ყურადღებას მივაქცევთ იმ ფაქტს, რომ რასიზმი კვეთს სხვა უთანასწორობას და დისკრიმინაციას სხვა ნიშნებით, მაგალითად, გენდერულს და ქმედუუნარობას.

კარგი მონაცემების არსებობა თანასწორობის შესახებ მნიშვნელოვანია რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში

ეთნიკური თანასწორობის მონიტორინგი ძირითადი იარაღია რასობრივი დისკრიმინაციის გავრცელებისა და მისი სიცოცხლეზე გავლენის გამოვლენაში. ეს აუცილებელია ეფექტური საწინააღმდეგო ზომების დასახვეწად. ადამიანის უფლების საერთაშორისო მიმოხილვებმა არაერთხელ მოუწოდა ირლანდიას, რომ თანმიმდევრული მიდგომა მიეღო საჯარო სამსახურის მიმწოდებლებისა და სხვათა მიერ შეგროვებული ეთნიკურად დანაწევრებულ მონაცემებთან დაკავშირებით. ჩვენს წინასწარ ანგარიშში ეს რეკომენდაცია პრიორიტეტულად ითვლება. ეროვნულ

სამოქმედო გეგმაში დამატებით იქნება გამოვლენილი პრობლემები მონაცემთა შეგროვებისა და გამოყენებისას და განხილული იქნება, თუ რა ცვლილებები დაგვეხმარება მონაცემთა უკეთ გამოყენებისთვის რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეროვნული სამოქმედო გეგმის გზაზე ირლანდიის რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში

მნიშვნელოვანია, რომ ამ გეგმას საფუძვლად დაედოს ადამიანის უფლებების ღირებულებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვა. ეს ღირებულებები უნდა ახასიათებდეს მიდგომას და განსაზღვრავდეს ირლანდიის საზოგადოების მოქმედებებს რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში .

როგორც ჩვენს წინასწარ მოხსენებაშია მითითებული, ჩვენს მუშაობაში ვხელმძღვანელობთ საუკეთესო პრაქტიკით რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმების სტრუქტურასა და შინაარსთან მიმართებაში, როგორც ეს მოცემულია პრაქტიკულ რეკომენდაციებში რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმების მოსამზადებლად, გამოქვეყნებული გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ.

ჩვენი საქმიანობა ასევე ეფუძნება ევროკავშირის რასიზმის წინააღმდეგ სამოქმედო გეგმას (2020-25), რომელიც თავისთავად ასახავს გაეროს სახელმძღვანელოს.

გაეროს სახელმძღვანელოს შესაბამისად, ჩვენ ვაპირებთ შევიმუშაოთ ეროვნული სამოქმედო გეგმა რასიზმის წინააღმდეგ, რომელიც:

- *დაფუძნებულია ადამიანის უფლებების სტანდარტებზე*
- *ყოვლისმომცველია მაშტაბით*
- *ეროვნული ვალდებულებაა*
- *მოქმედებაზე ორიენტირებულია*
- *საჯარო დოკუმენტია*
- *მუდმივი პროცესია*
- *საერთაშორისო მნიშვნელობის მომცველი*[2]

მოცემულ ეტაპზე გვსურს მოვისმინოთ თქვენი მოსაზრებები

რასიზმის გაგების და ჩვენს წინასწარ მოხსენებაში წარმოდგენილი პრობლემური სფეროებისა, და ამ კონსულტაციის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ეროვნული სამოქმედო გეგმა უნდა შეიცავდეს ქმედებებს, რომელიც მიმართულია

[2] *რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავება: პრაქტიკული სახელმძღვანელო* , UN OHCR 2014, 3.

ყველა სამთავრობო დეპარტამენტსა და უწყებისკენ, ხელისუფლების წარმომადგენლების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისკენ - საჯარო, კერძო და მოხალისეთა სექტორებში - რომელსაც აქვს ვალდებულება ან პასუხისმგებლობა აღმოფხვრას რასიზმი ან ვისი ჩართულობაც აუცილებელია. ეროვნული სამოქმედო გეგმა ასევე მიმართული იქნება მედიისკენ, როგორც ტრადიციული, ასევე ახალ ფორმები. ის უნდა შეიცავდეს ქმედებებს უფლებებისა და თანასწორობის ხელშესაწყობად ყველასთვის, ვინც ირლანდიაში ცხოვრობს.

კონსულტაციის ორგანიზებაში დასახმარებლად, ჩვენ შემოგთავაზეთ რამდენიმე თემა, რომელიც ასახავს ჩვენს წინასწარ ანგარიშში გამოვლენილ საკითხებს. დარწმუნებული იყავით, რომ ეს თემები არ შევარჩიეთ, ვინაიდან ვფიქრობთ, რომ ეს არის მხოლოდ ის სფეროები, სადაც რასიზმი იჩენს თავს, ან ეს არის ერთადერთი თემა, რომლის განხილვაც საჭიროა ეროვნულ სამოქმედო გეგმაში. ის უბრალოდ შემოთავაზებულია დისკუსიის სტიმულირებისათვის და კონსულტაციის ორგანიზებაში დასახმარებლად. ჩვენ ასევე გვსურს მოვისმინოთ თქვენი მოსაზრებები ნებისმიერ სხვა საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ფიქრობთ, რომ გეგმის შემუშავებისას უნდა გავითვალისწინოთ.

ჩვენ შემოგთავაზეთ რამდენიმე შეკითხვა თითოეულ თემაზე, დისკუსიის სტიმულირების დასახმარებლად. ქვემოთ მოცემული კითხვები შეიძლება გამოგადგეთ კონსულტაციაში თქვენი წვლილის შესატანად. მაგრამ გთხოვთ, ყოყმანის გარეშე გამოთქვათ თქვენი მოსაზრებები ამ საკითხებზე, კითხვების მითითების გარეშე და / ან გამოთქვათ თქვენი მოსაზრებები სხვა საკითხებზე, რომელიც არ არის ნახსენები ამ დოკუმენტში. ჩვენ ასევე გვესმის, რომ ამ თემებს შორის ბევრი საერთო შეიძლება იყოს.

თემა 1: სამართლიანობაზე წვდომა
თემა 2: მედიის ყველა ფორმა და კომუნიკაციები, რომელიც ახალ ტექნოლოგიებს შეიცავს
თემა 3: დასაქმება, განათლება, ჯანდაცვა და თავშესაფარი
თემა 4: ჩართულობა და მონაწილეობა

1. **სამართლიანობაზე წვდომა**

ეს თემა მოიცავს სამართალდამცავი ორგანოების მიერ დისკრიმინაციის დაძლევას, მათ შორის საჩივრების შეტანის მექანიზმებს, საქმის არასრულ გაშუქებას და ანაზღაურების ფორმებს.

- რითი გსურთ რომ ადგილზე დავეხმაროთ რასიზმის მსხვერპლებს?
- რა სახის ქმედებები იქნებოდა ეფექტური რასიზმის მსხვერპლთათვის სამართლიანობის გზაზე ბარიერების სალიკვიდაციოდ?
- რა ქმედებების მიღება შეიძლება სამართალდამცავი ორგანოების მიერ დისკრიმინაციის საწინააღმდეგოდ?

- ფიქრობთ, რომ რასიზმი გავლენას ახდენს დაკავებულ ან ბრალდებულ ადამიანებზე სისხლის სამართლის სისტემაში და თუ ასეა, როგორ შეიძლება ამასთან გამკლავება?
- ფიქრობთ, რომ რასიზმი გავლენას ახდენს დაკავებულ ან ბრალდებულ ადამიანებზე სისხლის სამართლის სისტემაში და თუ ასეა, როგორ შეიძლება ამასთან გამკლავება?
- ფიქრობთ, რომ რასიზმი გავლენას ახდენს სამართლიან სასამართლო გადაწყვეტილებაზე და სასამართლოებზე და თუ ასეა, რა ზომების მიღებაა საჭირო?
- არსებობს რასიზმთან, სქესთან და სამართლიანობაზე წვდომობასთან დაკავშირებული განსაკუთრებული პრობლემები?

2. ***მედიის ყველა ფორმა და კომუნიკაციები, რომელიც ახალ ტექნოლოგიებს შეიცავს***

ეს თემა შეიცავს ბეჭდურ და ტრადიციულ მედიასა და მაუწყებლობას, ასევე სოციალურ მედიასა და ახალ ტექნოლოგიებს.

- რა ქმედებებს შესთავაზებთ რასიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად მედიის ახალ და უფრო ტრადიციულ ფორმებში?
- თქვენი აზრით, რა ქმედებები დაეხმარება სამაუწყებლო საშუალებებსა და პრესას უფრო წარმომადგენლობითი გახდეს ყველა დონეზე მათვის, ვინც ირლანდიაში ცხოვრობს?
- რა პრობლემებს წარმოქმნის ახალი ტექნოლოგიები რასიზმის თვალსაზრისით?
- არსებობს ახალი ტექნოლოგიებით შეთავაზებული რაიმე შესაძლებლობა რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად?
- რა ნაბიჯები უნდა გადადგან ტექნოლოგიურმა კომპანიებმა რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ხელშეწყობისთვის?
- რა როლი შეიძლება ითამაშოს ტექნოლოგიური კომპანიების დარეგულირებამ რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში?

3. **დასაქმება, განათლება, ჯანდაცვა და თავშესაფარი**

ეს ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ძირითადი სფეროებია, სადაც ზომების მიღება აუცილებელია სრული ჩართულობისა და მონაწილეობის მხარდასაჭერად იმ ჯგუფების მიერ, რომელიც განიცდის რასიზმს საზოგადოებასა და ეკონომიკაში. ეს შეიძლება შეიცავდეს რასიზმის შეჩერებას სამუშაო ადგილზე; იმის გარანტიით, რომ საჯარო სერვისები შემუშავებული და განხორციელებულია ყველასათვის; და ზომები რასობრივი უთანასწორობის აღმოსაფხვრელად განათლების, ჯანდაცვის და საცხოვრებლით უზრუნველყოვის წვდომაში, ასევე მონაწილეობასა და შედეგებში.

- როგორ გსურთ დაინახოთ რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლა განათლების სექტორში?
- როგორ შეგვიძლია უზრუნველვყოთ ყველა ბავშვის თანასწორობა მომსახურების წვდომის კუთხით?
- რა ზომების მიღება გსურთ იხილოთ ჯანდაცვის სექტორში ეთნიკური ნიშნით უთანასწორობის აღმოსაფხვრელად ჯანმდაცვაში?
- რა ზომები დაეხმარება რასიზმის პრობლემის გადაწყვეტას საცხოვრებელზე წვდომაში?
- რა ინიციატივებისა და ქმედებების განხორციელება გსურთ იხილოთ რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დასაქმებაზე წვდომაში?
- არსებობს სამუშაო ძალის განსაკუთრებული სექტორები, სადაც საჭიროა ქმედებებს მიენიჭოს უპირატესობა რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში?
- რა ტრენინგებმა და დამატებითმა დახმარებამ შეიძლება ხელი შეუწყოს რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლას სამუშაო ადგილზე?
- რა ზომების მიღებაა შესაძლებელი დასაქმებისა და შრომის ბაზარზე ჩართვის ხელშეწყობისთვის, ასევე დისკრიმინაციის ძირითადი მიზეზების აღმოსაფხვრელად?

4. *ჩართულობა და მონაწილეობა*

ეს თემა მოიცავს იმ როლს, რომელიც განათლებასა და ცნობიერების ამაღლებას შეუძლია ითამაშოს ყველა დონეზე, რასისტული შეხედულებებისა და ქცევების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს შეიძლება მოიცავდეს ზომებს ოფიციალურ სასწავლო პროგრამებში მრავალფეროვნებისა და დისკრიმინაციის ცოდნის გასაღრმავებლად, ისტორიის გადახედვას ამჟამად იგნორირებული ჯგუფებისა და ზომების ჩათვლით, ასევე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ინიციატივებს.

ამ თემის ფარგლებში ჩვენ ასევე ვეცდებით აღმოვფხრათ ის ბარიერები, რომელიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ხელს უშლის მონაწილობა მიიღონ დემოკრატიულ პოლიტიკაში და ადგილობრივ და ეროვნულ არჩევნებში.
ჩვენ ასევე გავითვალისწინებთ საჯარო სარგებლობისთვის განკუთვნილი ნებისმიერ ადგილსა ან მომსახურებაზე წვდომის უფლებებს, როგორიცაა ტრანსპორტი, სასტუმროები, რესტორნები, კაფეები, თეატრები, სპორტული კომპლექსები, პარკები და დასასვენებელი ადგილები.

- თქვენი აზრით, რა ინიციატივებმა შეიძლება აამაღლოს საზოგადოების ცნობიერება რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ და ხელი შეუწყოს რასისტული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს?
- როგორ შეგვიძლია ბარიერების აღმოფხვრა სოციალური ინტერგაციისთვის და არასაკმარისად წარმოდგენილი და ხელმოკლე ჯგუფების მონაწილეობისთვის?
- როგორ შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ ყველაზე ქვედა სოციალური კლასის წარმომადგენბელი რეალურად იქნებიან ჩართულნი?

- რა ინიციატივები დაეხმარებოდა სახელწმიფო პოლიტიკის მიერ სისტემური რასიზმის გათვალისწინების უზრუნველყოფას, რომელსაც აწყდებიან რასისტული უმცირესობის თემები?
- რა ქმედებებს შესთავაზებდით ეთნიკური უმცირესობის ადამიანთა რაოდენობის გასაზრდელად, რომლებიც ირჩევენ და თავად მონაწილეობენ ადგილობრივ და ეროვნულ არჩევნებში?
- რა ქმედებებია საჭირო იმის უზრუნველსაყოფად, რომ პოლიტიკური პროცედურები, პროცესები და მონაწილეობა ანტირასისტული იყოს?
- რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს სპორტში რასიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად? რა პოზიტიურმა მოქმედებებმა შეიძლება გააუმჯობესოს ეს?
- რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ხელოვნებასა და კულტურაში რასიზმის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად და მის წინააღმდეგ საბრძოლველად? რა პოზიტიურმა მოქმედებებმა შეიძლება გააუმჯობესოს ეს?
- რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს კულტურათშორისი ჩართულობისა და საზოგადოების მონაწილეობის დასახმარებლად?

შეგიძლიათ გაგვიზიაროთ თქვენი შეხედულებები იმ ყველაფრის შესახებ, რაც, თქვენი აზრით, ირლანდიაში რასიზმის წინააღმდეგ ეროვნულ სამოქმედო გეგმასთანაა დაკავშირებული. ქვემოთ მოცემული ზოგადი კითხვები შეიძლება სასარგებლო იყოს.

ზოგადი კითხვები

- რას თვლით ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებად, რომელსაც უმცირესობა აწყდენა?
- თქვენი აზრით, რა ინიციატივებს შეუძლია აღმოფხვრას ხარვეზები მონაცემთა შეგროვებასა და გამოყენებაში?
- როგორ შეაფასებთ რამდენად კარგად მუშაობს გეგმა? თქვენი აზრით, ვინ უნდა ჩაერთოს გეგმაში რეკომენდებული ღონისძიებების განხორციელებასა და მონიტორინგში?
- იმის გაცნობიერება, რომ სამოქმედო გეგმა ბევრ საკითხს უნდა მოიცავდეს, რომელია ის ორი სფერო, თქვენი აზრით, რომელიც პრიორიტეტული უნდა იყოს ადრეული ქმედებისთვის?
- რა გამოიწვევს ყველაზე დიდ კამათს გრძელვადიან პერსპექტივაში?
- იცვლება თუ არა რასიზმის განცდა, ადამიანის სქესის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის ან ოჯახურ ან სამოქალაქო მდგომარეობის მიხედვით?
- როგორ მოქმედებს რასიზმის განცდა ქმედუუნარობაზე?

ირლანდია ამუშავებს ეროვნულ სამოქმედო გეგმას რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თქვენი მოსაზრებები ხელს შეუწყობს ამ გეგმის გაზიარებას. გმადლობთ ამ მნიშვნელოვან საქმეში მონაწილეობისთვის.